ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 14 ივლისის რიგგარეშე სხდომის

ოქმი N 11

2020 წლის 14 ივლისი

დაბა ხარაგაული **9 აპრილის ქუჩა #15**

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - მანანა ბარბაქაძე,

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები პაატა გოგოლაძე, დავით კიკნაძე, გივი თხელიძე, მალხაზ ფხალაძე, აკაკი ლურსმანაშვილი, ვარლამ ჭიპაშვილი, ოთარ ლურსმანაშვილი, ეკატერინე შველიძე, ლენა აბაშიძე, ნონა ზურაბიანი, შალვა ლურსმანაშვილი, პავლე კიკალიშვილი, ვახტანგ ტალახაძე, ვლადიმერ ტალახაძე, ჯამბულ გამცემლიძე, იუზა კელენჯერიძე, გივი ხიჯაკაძე, ზურაბ ხაჩიძე, აკაკი მაჭავარიანი, ინგა მაღრაძე, მიხეილ ჭიპაშვილი, სულ საკრებულოს 21 წევრი.

სხდომას ესწრებოდნენ:

მერიის წარმომადგენელი:

მაია ალავიძე - მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი,

საკრებულოს აპარატის წარმომადგენლები:

ლენა კალანდაძე– საკრებულოს აპარატის უფროსი,

ზაალ ორბელაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში,

ნინო თხელიძე -საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში,

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

მ. შარიქაძე -ა.ა.ი.პ ,,მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ცენტრი"-ს ჟურნალისტი,

თ. გოგოლაძე – გაზეთ „ჩემი იმერეთი"-ს ჟურნალისტი.

მოისმინეს: საკრებულოს თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია, მან საკრებულოს წევრებს წარუდგინა სხდომის დღის წესრიგი

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის ნიკოლოზ თოფურიძის თანამდებობიდან გადადგომის შესახებ განცხადების ცნობად მიღების თაობაზე

მომხს: ოთარ ლურსმანაშვილი

2.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ხევში მდებარე 2250 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი № 36.05.33.265), სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ

მომხს:მაია ალავიძე

და კენჭისყრაზე დააყენა საკითხი დღის წესრიგის დამტკიცების თაობაზე

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 21 წევრი

მომხრ 19

წინააღმდეგი 2

დღის წესრიგი მიღებული იქნა (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ო. ლურსმანაშვილის ინფორმაცია საკითხზე - **ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის ნიკოლოზ თოფურიძის თანამდებობიდან გადადგომის შესახებ განცხადების ცნობად მიღების თაობაზე** (თან ერთვის)

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 56 -ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ ინფორმაცია ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის ნიკოლოზ თოფურიძის მერის თანამდებობიდან პირადი განცხადებით გადადგომის თაობაზე მიიღო ცნობად.

მოისმინეს საკრებულოს წევრის მ. ჭიპაშვილის წინადადება

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ხევში მდებარე 2250 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი № 36.05.33.265), სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ მისი მოუმზადებლობის გამო დღის წესრიგიდან მოხსნის თაობაზე

სხდომის თავმჯდომარის მიერ აღნიშნული წინადადება დაყენებული იქნა კენჭისყრაზე

კენჭის ყრაში მონაწილეობდა 21 წევრი

მომხრე 21

წინააღმდეგი 0

საკრებულომ გადაწყვიტა: საკითხი ამოღებული იქნეს დღის წესრიგიდან და განიხილოს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე

ამით საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

საკრებულოს თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**